30/09/2025

MES 8 25 0001247282

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი
სამუშაო შეხვედრა
შეხვედრის ოქმი №5

ქ. თბილისი 12.09.2025

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, ლაშა მარგიშვილმა გახსნა. მან მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და აღნიშნა, რომ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ, მოკლედ, შეჯამდება ბოლო 10 თვის განმავლობაში საკოორდინაციო საბჭოზე განხილული საკითხები. გარდა ამისა, ლაშა მარგიშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს თავმჯდომარე - ირმა გრძელიძე და საბჭოს წევრი - ლევან კერესელიძე, საკუთარი განცხადების საფუძველზე, ტოვებენ საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას. თუმცა, მათ კვლავ ექნებათ შესაძლებლობა, გაუზიარონ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს საკუთარი მოსაზრებები, ვინაიდან ცენტრი, ENQA-ს შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, ამჟამად ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზეა. მან ასევე განაცხადა, რომ განიხილება, ცენტრის წლიური კონფერენციის შემდეგ, ორივე წევრის საქმიანობის მიმართულებით კონკურსის გამოცხადება.
საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ის დაესწრო ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) მიერ გამართულ მნიშვნელოვან ღონისძიებას სადოქტორო განათლების მიმართულებით, რომელზეც განიხილებოდა სადოქტორო განათლების პროგრამის ბიზნესთან, საზოგადოებასთან, სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობის შესაძლებლობები. მან ასევე განაცხადა, რომ მისი მიდგომა ყოველთვის იქნება ისეთი, რომ გამოწვევები, რაც ცენტრს შესაძლოა წლიდან-წლამდე ჰქონდეს, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი, და, მზად არის სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობის შესაძლებლობებისთვის. ირმა გრძელიძემ მადლობა გადაუხადა საკოორდინაციო საბჭოს, ქართველ და საერთაშორისო ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის, და, აღნიშნა, რომ მათთან თანამშრომლობა იყო ძალიან საინტერესო. მან ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე საბჭომ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო და ENQA-ს ექსპერტთა ვიზიტი კარგად წარმოაჩენს ამ ნაბიჯების ეფექტურობას. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა უცხოელ ექსპერტებს და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმ დატვირთული სამუშაო რეჟიმისა, რომელიც მათ მუდმივად აქვთ, ისინი ძალიან აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესებში და მათი ასეთი მიდგომა და „თავდადება“ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცენტრის საქმიანობისთვის. მისი თქმით, ის ნაბიჯები, რაც ცენტრის და საკოორდინაციო საბჭოს დამოუკიდებლობისთვის გადაიდგა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია და საკოორდინაციო საბჭოს მიერ მომზადებული პაკეტი საჭიროა დროულად დამტკიცდეს. გარდა ამისა, აუცილებელია, შეუფერხებლად გაგრძელდეს მუშაობა ცენტრის თვითშეფასების ანგარიშზე. ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ ცენტრის ხელმძღვანელის დროული არჩევა კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროცესების სათანადო მიმდინარეობისთვის. მან ასევე განაცხადა, რომ გეგმავს, საკოორდინაციო საბჭოს მომდევნო თავმჯდომარეს და ახალ წევრს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება. ირმა გრძელიძის რეკომენდაციით ცენტრი კიდევ უფრო მეტი ენთუზიაზმით მოეკიდოს საბჭოების, ექსპერტების გადამზადების და მათი მხრიდან პროცედურების დაცვის უზრუნველყოფის საკითხებს.
ლაშა მარგიშვილმა მადლობა გადაუხადა ირმა გრძელიძეს გაწეული სამუშაოსთვის.

ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსმა, ლაშა ზივზივაძემ მოკლედ მიმოიხილა საკოორდინაციო საბჭოს მიერ ბოლო ათი თვის ვადაში შესრულებული სამუშაოს ანგარიში. მან აღნიშნა, რომ ცენტრში ინიცირებულია სხვადასხვა მნიშვნელოვანი აქტივობა. ასევე, განმარტა, რომ მიმდინარე საკოორდინაციო საბჭო 2024 წლის ნოემბერში იქნა არჩეული და მასში ყველა დაინტერესებული მხარეა წარმოდგენილი. საბჭოს საქმიანობის ფარგლებში, ათი თვის განმავლობაში ხუთი შეხვედრა ჩატარდა. მან ისაუბრა წარმოდგენილ ინიციატივებზე და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია დაგეგმილი და შესრულებული აქტივობების წარდგენა საბჭოს სხდომაზე. ასევე, ის ძირითადი აქტივობები, რომლებიც სამოქმედო გეგმითაა გათვალისწინებული, უნდა წარედგინოს საბჭოს. მისი თქმით, ირმა გრძელიძის მოსაზრებას წარმოადგენდა სტრატეგიის საბოლოო შეფასების ვადების გადახედვის აუცილებლობა; ირმა გრძელიძემ ასევე წარადგინა ინიციატივა, რომ ცენტრის დამოუკიდებლობის საკითხი უფრო ფართოდ ასახულიყო ცენტრის მომდევნო ხუთწლიან სტრატეგიაში, რომლის გათვალისწინებითაც, აღნიშნული საკითხი აისახა ახალ სტრატეგიულ მიმართულებაში და განისაზღვრა ამოცანის დონეზე, შესაბამისი ინდიკატორით. ასევე, 2026-2030 წლების სტრატეგიაში ჩაიწერა, რომ სტრატეგიული მიზნები მკაფიოდაა თანხვედრაში გაეროს მდგარდი განვითარების მიზნებთან. აღინიშნა ისიც, რომ თითოეული ამოცანისთვის უნდა გაიწეროს შეფასების ინდიკატორი, რათა შესაძლებელი იყოს შედეგის გაზომვა; აქცენტი კი უნდა გაკეთდეს განვითარებაზე მიმართულ ინდიკატორებზე. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, მიზანშეწონილია უცხოელი სტუდენტების კმაყოფილების კვლევის ჩატარება სამედიცინო განათლების მიმართულებით, რაც აისახა სტრატეგიულ დოკუმენტში. ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ მოცემულმა სტრატეგიულმა დოკუმენტმა, საჯარო განხილვაზე, დაინტერესებული მხარეებისგან დადებითი შეფასება მიიღო. ასევე, საკოორდინაციო საბჭოს სხვა წევრების მიერ წარმოდგენილი ინიციატივები აისახა ცენტრის სტრატეგიაში, მათ შორის კვალიფიკაციების განვითარების და განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. ლაშა ზივზივაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზანშეწონილად მიიჩნეულ იქნა ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების სამოქმედო გეგმის შემუშავება, რაც ცენტრს მისცემს პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას. აღნიშნული სამოქმედო გეგმაც შემუშავებულია. ამის საფუძველზე, ამჟამად ცენტრის თვითშეფასების დოკუმენტის შემუშავება მიმდინარეობს. მან მადლობა გადაუხადა ირმა გრძელიძეს გაწეული მუშაობისთვის და წარმატება უსურვა.

ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ აქვს მოლოდინი ბევრი საინტერესო ინიციატივისა ცენტრის მომდევნო საქმიანობის ფარგლებში და ამ ინიციატივებზეც ერთობლივი მუშაობა წარიმართება. მისი თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ENQA-სა და EQAR-ის რეკომენდაციების ნაწილში, ცენტრმა მიიღო საკოორდინაციო საბჭოს მოსაზრებები, ასევე - ბევრი რჩევა და რეკომენდაცია, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ექსპერტების მხრიდან. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ სანამ გაიგზავნება თვითშეფასების ანგარიში, ცენტრის მხრიდან არ დააკლდება მცდელობა, რომ რეკომენდაციების შესაბამისად, შეტანილ იქნას ცვლილებები სამართლებრივ დოკუმენტებსა და მარეგულირებელ აქტებში. მან ასევე განაცხადა, რომ განიხილება ორი მნიშვნელოვანი საკითხი - საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციების გაზრდა, განსაკუთრებით ცენტრის დირექტორის შერჩევის ნაწილში და საკოორდინაციო საბჭოსთვის მეტი მმართველობითი ფუნქციის მინიჭების მიმართულებით. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ეს ორი თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და უახლოეს მომავალში აღნიშნული ცვლილებების პაკეტი დასამტკიცებლად გაიგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში. რაც შეეხება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებს, ამ მიმართულებით შემუშავებული ცვლილებების პაკეტი, შესაძლებელია, ცენტრის წლიური კონფერენციის შემდეგ, გაიგზავნოს დასამტკიცებლად სამინისტროში.

ლაშა მარგიშვილმა მოკლედ შეაჯამა შეხვედრა და კიდევ ერთხელ წარმატებები უსურვა ირმა გრძელიძეს და ლევან კერესელიძეს.

დანართი 1:

N	სახელი, გვარი	პოზიცია	საკოორდინაციო საბჭო
1	**ირმა გრძელიძე** **Irma Grdzelidze**	შპს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო აკრედიტაციის სამსახურის ხელმძღვანელი Head of the Strategic Development and International Accreditation Service at LLC Caucasus University	საბჭოს თავმჯდომარე Council Chairperson
2	**თათია უბერი** **Tatia Uberi**	ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის წარმომადგენელი, შპს კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი; Representative of the Association of Georgian Student Organizations, PhD student of the Law School of the Caucasus University LLC	საბჭოს მდივანი Council Secretary
3	**დევიდ გორდონი** **David Gordon**	მანჩესტერის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ემერიტუსი პროფესორი Emeritus Professor, Faculty of Medicine, University of Manchester	საბჭოს წევრი Council Member
4	**გიორგი ჩუმაშვილი** **George Chumashvili**	ა(ა)იპ - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის წარმომადგენელი, შპს ,,თინეთის“ გენერალური დირექტორი; representative of Georgian employers' association, General Director of "Tineti" LLC	საბჭოს წევრი Council Member
5	**დიანა ფრეიბერგერი** **Diane Freiberger**	ბიზნესის ადმინისტრირების აკრედიტაციის საერთაშორისო ფონდის (FIBAA) აღმასრულებელი დირექტორი; Executive Director of the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA)	საბჭოს წევრი Council Member
6	**მაია ახვლედიანი** **Maia Akhvlediani**	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი Associate Professor at the Faculty of Education at (LEPL)Akaki Tsereteli State University	საბჭოს წევრი Council Member
7	**სოფიო ლონდარიძე** **Sophio Londaridze**	ა(ა)იპ - პროფესიული უნარების სააგენტოს ადმინისტრაციული გუნდის ლიდერი Administrative Team Leader at N(N)LE Skills Agency Georgia	საბჭოს წევრი Council Member
8	**ლიანა კოლხიტაშვილი** **Liana Kolkhitashvili**	შპს „ტრენინგ ლაბის“ დირექტორი Director of "Training Lab" LLC	საბჭოს წევრი Council Member
9	**მაია რუხაძე**		

	Maia Rukhadze	სსიპ - ქალაქ თბილისის №221-ე საჯარო სკოლის ქიმიის მასწავლებელი Chemistry Teacher at (LEPL)Tbilisi Public School No. 221	საბჭოს წევრი Council Member

Minutes of the Meeting of the Coordination Council
Working Meeting
Minutes No. 5

Tbilisi

12.09.2025

The session of the Coordination Council was opened by Lasha Margishvili, Acting Director of the LEPL – National Center for Educational Quality Enhancement. He thanked the attendees and noted that the meeting will once again briefly summarize the issues discussed by the Coordination Council over the past 10 months. In addition, Lasha Margishvili announced that the Chairperson of the Council, Irma Grdzelidze, and the Council member, Levan Kereselidze, based on their own note, are leaving the Coordination Council. However, they will still have the opportunity to share their views with the members of the Coordination Council, as the Center is currently at a very important stage, based on the ENQA evaluation. He also stated that after the annual conference, a competition will be announced fort the vacancies of the both members.

Irma Grdzelidze noted that she attended an important event organised by the European University Association (EUA) in the field of doctoral education, where opportunities for **between doctoral education programmes and business**, society, governmental and non-governmental structures were discussed. She also stated that her approach will always be to reduce challenges the Center may face year after a year to a minimum, and she is ready to engage in various formats of cooperation. Irma Grdzelidze thanked the Coordination Council members, both Georgian and international experts for their work, and noted that cooperation with them was very interesting. She also mentioned that the current Council had begun taking effective steps and the ENQA experts' visit well demonstrated the effectiveness of these measures. She expressed special gratitude to the foreign experts, noting that despite their heavy workloads, they have been very actively involved in these processes, and that such commitment and "dedication" are especially important for the Center's activities. According to her, the steps taken to strengthen the independence of the Center and the Coordination Council are also very important, and the package prepared by the Council needs to be approved in a timely manner. Furthermore, it is essential to ensure the uninterrupted continuation of work on the Center's self-evaluation report. Irma Grdzelidze noted that the timely election of the Center's head is critically important for the proper conduct of the processes. She also stated that she plans to share her experience

with the next Chairperson and a new member of the Coordination Council. Irma Grdzelidze recommended that the Center should be even more enthusiastic about the issues of Councils, expert training, and ensuring compliance with procedures on their part.
Lasha Margishvili once again expressed his gratitude to Irma Grdzelidze for her work.
Lasha Zivzivadze, Head of the Planning, Research and International Relations Department of the Center, briefly reviewed the report on the work performed by the Coordination Council over the last ten months. He noted that various important activities have been initiated at the Center. He also explained that the current Coordination Council was elected in November 2024 and includes all interested stakeholders. Within the framework of the Council's activities, five meetings were held over the ten months. He spoke about the initiatives presented and noted that it is appropriate to present the planned and implemented activities at the Council meeting. Also, the main activities that are envisaged in the Action Plan should be presented to the Council. According to him, Irma Grdzelidze considered it necessary to review the deadlines for the final evaluation of the strategy; she also presented the initiative that the issue of the Center's independence should be more widely reflected in the Center's next five-year strategy. Consequently, this issue was included in the new strategic direction and defined at the level of a task, with the indicator. In addition, the 2026–2030 strategy noted that the strategic goals are clearly aligned with the UN Sustainable Development Goals. An evaluation indicator should be written for each task in order to be able to measure the result, the emphasis should be on development-oriented indicators. Based on one of the recommendations of the Chairperson of the Coordination Council, it was considered advisable to conduct a survey of international students' satisfaction in the field of medical education, which was reflected in the strategic document. Lasha Zivzivadze pointed out that the given strategic document received positive feedback from stakeholders during the public consultation. Other initiatives presented by the members of the Coordination Council were also reflected in the Center's strategy, including those related to qualification development and the improvement of education quality. Lasha Zivzivadze emphasized that it was considered appropriate to develop an action plan for implementing ENQA recommendations, which would allow the Center to measure progress. The aforementioned action plan has also been developed. Based on this, the Center's self-evaluation document is currently being developed. He thanked Irma Grdzelidze for her work and wished her success.
Lasha Margishvili noted that he expects many interesting initiatives in the next phase of the Center's work and that these initiatives will also be carried out through joint efforts. According to him, the most important thing is that regarding ENQA and EQAR recommendations, the Center received the views of the Coordination Council, as well as many suggestions and recommendations from both local and international experts. Lasha Margishvili stated that before the self-evaluation report is submitted, the Center will make every effort to incorporate changes into legal documents and regulatory acts, in line with the recommendations. He also stated that two important issues are being discussed - increasing the functions of the Coordination Council, particularly regarding the selection of the Center's Director, and granting the Coordination Council more managerial functions. Lasha Margishvili noted that these two topics are especially important, and in the near future the relevant package of amendments will be submitted to the Ministry of Education, Science and Youth of Georgia for approval. As for the authorization and accreditation regulations, the package of amendments developed in this regard, may be submitted to the Ministry for approval after the Center's annual conference.
Lasha Margishvili briefly summarized the meeting and once again wished success to Irma Grdzelidze and Levan Kereselidze.

Annex 1:

N	Name surname	Position	Coordination Council
1	**Irma Grdzelidze**	Head of the Strategic Development and International Accreditation Service at LLC Caucasus University	Council Chairperson
2	**Tatia Uberi**	Representative of the Association of Georgian Student Organizations, PhD student of the Law School of the Caucasus University LLC	Council Secretary
3	**David Gordon**	Emeritus Professor, Faculty of Medicine, University of Manchester	Council Member
4	**Giorgi Chumashvili**	Representative of the Georgian Employers' Association, General Director of "Tineti" LLC	Council Member
5	**Diana Freiberger**	Executive Director of the Foundation for International Business Administration Accreditation (FIBAA)	Council Member
6	**Maia Akhvlediani**	Associate Professor at the Faculty of Education at (LEPL)Akaki Tsereteli State University	Council Member
7	**Sophio Londaridze**	Administrative Team Leader at N(N)LE Skills Agency Georgia	Council Member
8	**Liana Kolkhitashvili**	Director of "Training Lab" LLC	Council Member
9	**Maia Rukhadze**	Chemistry Teacher at (LEPL) Tbilisi Public School No. 221	Council Member

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
მდივანი
უბერი თათია

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
საკოორდინაციო საბჭო
თავმჯდომარე
გრძელიძე ირმა